სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080188073152923

№ 521

15 / თებერვალი / 2023 წ.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 13 თებერვალს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ SMP230000465 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და ღირებულება

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია, ქ. თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობისათვის სამგზავრო ბარათებისა და მასში სატარიფო პაკეტის ჩატვირთვის თანმდევი მომსახურება (CPV-60100000 - საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები), ღირებულებით 504 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ ქ. თბილისის მასშტაბით სხვადასხვა ოფისებსა და ქვესადგურებში დასაქმებულნი არიან ორგანიგრამით გათვალისწინებული „A“ კატეგორიის თანამშრომლები, ოსტატები და ელექტრიკოსები, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ყოველდღიურად გადაადგილდებიან ქ. თბილისის მასშტაბით საზოგადოებრივი ტრანსპორტით (ავტობუსი, მეტროპოლიტენი, ლურჯი მიკროავტობუსი). მათთვის შეღავათიანი მგზავრობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ერთ წლიანი სამგზავრო ბარათებისა და მასში სატარიფო პაკეტის ჩატვირთვის თანმდევი მომსახურების შესყიდვა.

2017 წლის 15 სექტემბერს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და სს „საქართველოს ბანკს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება (მოქმედების ვადა - 2028 წლის 15 სექტემბერი), რომლის მე-15 მუხლის 15.12 პუნქტის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის მომსახურების ექსკლუზიურ მიმწოდებლად განისაზღვრა სს „საქართველოს ბანკი“, ხოლო 2018 წლის პირველ თებერვალს სს „საქართველოს ბანკსა“ და შპს „მეტრო სერვის +“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (N205150352, მოქმედების ვადა - 2028 წლის 15 სექტემბერი) გაფორმდა უფლება-მოვალეობათა გადაცემის შესახებ ხელშეკრულება და წარმოდგენილი ბრძანებით განსაზღვრული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული უფლება/მოვალეობები გადაეცა შპს „მეტრო სერვის +“-ს. შესაბამისად, შპს „მეტრო სერვის +“-ის გარდა არ არსებობს სხვა პირი, რომელსაც უფლება აქვს გაუწიოს შემსყიდველ ორგანიზაციას მომართვაში მითითებული მომსახურება.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინფორმაციიდან ირკვევა, 2017 წლის 15 სექტემბერს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და სს „საქართველოს ბანკს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება (მოქმედების ვადა - 2028 წლის 15 სექტემბერი), რომლის მე-15 მუხლის 15.12 პუნქტის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის მომსახურების ექსკლუზიურ მიმწოდებლად განისაზღვრა სს „საქართველოს ბანკი“, ხოლო 2018 წლის პირველ თებერვალს სს „საქართველოს ბანკსა“ და შპს „მეტრო სერვის +“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (N205150352, მოქმედების ვადა - 2028 წლის 15 სექტემბერი) გაფორმდა უფლება-მოვალეობათა გადაცემის შესახებ ხელშეკრულება და წარმოდგენილი ბრძანებით განსაზღვრული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული უფლება/მოვალეობები გადაეცა შპს „მეტრო სერვის +“-ს. შესაბამისად, შპს „მეტრო სერვის +“-ის გარდა არ არსებობს სხვა პირი, რომელსაც უფლება აქვს გაუწიოს შემსყიდველ ორგანიზაციას მომართვაში მითითებული მომსახურება.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ SMP230000465 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე